აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ნავსადგურების და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

13 ნოემბერი 2018 წ.
5 იანვარი 2019 წ.

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245427337
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული, გადაწყვეტილება №1, 10.01.2014

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა მოისწრაფიშვილი, სტუ
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ჯაფარიძე, სტუ
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინა რზგოევა, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ფოფხაძე, სტუ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტში - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამამ „ნავსადგურებისა და ტერმინალების გადამტვირთავი აღჭურვილობის ექსპლუატაცია“ აკრედიტაცია მოიპოვა 2014 წლის 10 იანვარს. ხელახალი აკრედიტაციისთვის პროგრამა წარმოდგენილია ახალი სახელწოდებით „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია შენარჩუნებულია „ინჟინერიის ბაკალავრი“. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობა 4 წელი და ხორციელდება ქართულ ენაზე.

პროგრამის აქტუალობა ეჭვგარეშეა გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებიდან. კერძოდ, სატრანსპორტო-სატრანზიტო დარგის განვითარების ხელშეწყობა რეგიონალური ინტეგრაციის გათვალისწინებით და შესაბამისად, ნავსადგურებისა და სატრანსპოტო ტერმინალების გამართული ფუნქციონირების

მშენებლობის, მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის, გადაიარაღებისა და ექსპლუატაციის საჭიროებები.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა მიმართულია ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალებისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციების მქონე კვალიფიციური ინჟინრების მომზადებისკენ.

საგანმანათლებლო პროგრამა გარდა სპეციალური სასწავლო კომპონენტების ათვისებისა, სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლოს საბაზო და ზოგად ტექნიკურ სასწავლო კურსებს, რომელიც საფუძვლად უდევს ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ და საპროექტო-საკონსტრუქრტორო სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო ცოდნას, სამართლებრივ რეგულაციებს ნავსადგურის ორგანიზაციისა და მართვის კომპეტენციის გამომუშავებისთვის. პროგრამა ასევე მოიცავს თავისუფალ და არჩევით კომპონენტებს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცესს. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინგლისური ენის სწავლებას, რომელიც მოიცავს როგორც სავალდებულო ასევე სავალდებულო არჩევით კომპონენტებს. ინგლისური ენის სწავლება მიმდინარეობს მარტივიდან რთულისაკენ წინაპირობის პრინციპის დაცვით. პროგრამა არ ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებს გარეთ ათვისებული ინგლისური ენის ცოდნისა და უნარების აღიარებას, ამიტომ, სტუდენტი ვალდებულია სრულად გაიაროს პროგრამით გათვალისწინებული ინგლისური ენის სრული კურსი.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, მოდიფიცირებისა და განვითარების მიზნით გაზიარებულია ლატვიის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მრავალწლიანი საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილება აღნშნულ სფეროში სპეციალისტების მომზადების მხრივ.

პროგრამა თავსებადია აკადემიის მისიასთან, რომელიც ასახულია სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 2018-2024 წლების განვითარების სტრატეგიულ გეგმაში. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია კონკრეტული რესურსებით და მექანიზმებით, რომელიც გათვალისწინებულია აკადემიის სამწლიან (2018-2020 წ.წ.) სამოქმედო გეგმაში.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა განხორციელდა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტში - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტში - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ვიზიტის დროს, რომლის საფუძველი იყო ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება. შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა: საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის სილაბუსები, ადამიანური რესურსის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის 2014 წელს შევსებული წლიური თვითშეფასების ანგარიში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტები და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია. აკრედიტაციის ექსპერტთა წინასწარი შეხვედრა შედგა 2018 წლის 12 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ხოლო 13 ნოემბერს განხორციელდა ვიზიტი სასწავლო დაწესებულებაში, სადაც წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის დაცვით ინტერვიუებისა და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დოკუმენტებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან შესაბამისობა.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა: 1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 1.2

პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საერთო ჯამში, სტანდარტი 1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა: 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამაში დასაზუსტებელია სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები; 2.3. სასწავლო კურსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაოდან დასაზუსტებელია რამოდენიმე სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში. 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.5. სწავლასწავლების მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.6. სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საერთო ჯამში, სტანდარტი 2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა: 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - არ შეფასდა, ვინაიდან სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი იყო ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა. საერთო ჯამში, სტანდარტი 3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა: სტანდარტი 4.1. ადამიანური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 4.3

მატერიალური რესურსი - შესაბამისობასია მოთხოვნებთან; 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობასია მოთხოვნებთან. საერთო ჯამში, სტანდარტი 4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები: 5.1 შიდა ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 5.2 გარე ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საერთო ჯამში, სტანდარტი 5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

სასწავლო კურსების წინაპირობების ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები. მაგ. სასწავლო კურსებისთვის ,,კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა“, ,,ელექტროტექნიკა და ელექტრონიკა,“ ,,მექანიზმებისა და მანქანების თეორია“, ,,პნევმო და ჰიდროავტომატიკის საფუძვლები“ და სხვ.

სასწავლო კურსების ,,მანქანათა ნაწილები“ და ,,მანქანების და მექანიზმების თეორია“ გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) საჭიროებს კორექტირებას მათი შინაარსსა და სწავლის შედეგების მიხედვით, რაც გააუმჯობესებს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს.

აღმოსაფხვრელია ზედმეტი ჩანაწერი მათემატიკის, ზოგადი ფიზიკის და ზოგიერთ სხვა სილაბუსებში, სადაც გრაფაში „შესაბამისობა STCW სტანდარტებთან“ მითითებულია STCW კონვენციის მუხლები, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული კონვენცია არ არის წარმოდგენილ პროგრამასთან კავშირში.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის შემუშავების და მოდიფიცირების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერება;
- სასურველია უმოკლეს ვადაში მოხდეს იმ სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის განახლება და გამდიდრება, რომლებიც წარმოდგენილია მხოლოდ ელექტრონული სახელმძღვანელოების სახით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

-

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს. წინა აკრედიტაციის დროს ექსპერტებს ჰქონდათ შენიშვნები მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო კურსების შინაარსების ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისი საკითხებით შევსების, სასწავლო კურსების სილაბუსებში სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმების უფრო მკაფიოდ და ნათლად გაწერის, მოძველებული სასწავლო ლიტერატურის განახლების და სწავლის შედეგების რუკის სრულყოფის, რაც მიმდინარე აკრედიტაციის დროს გამოსწორებულია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“ მიზანია ინჟინერიის ბაკალავრის მომზადება სატრანსპორტო კვანძებისა და საზღვაო პორტების სხვადასხვა დანიშნულების გადამტვირთი, ტვირთამწე და სატრანსპორტო მანქანების, დანადგარების, აგრეგატებისა და სისტემების (სატრანსპორტო, ამწე-სატრანსპორტო) ექსპლუატაციის, შეკეთებისა და მომსახურებისათვის; დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია ამოცანა ,,მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნებისა და კომპეტენციების მქონე ინჟინრები, რომელთაც ექნებათ პროფესიული პრობლემების გადაჭრის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მაღალი ეთიკური ნორმები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზარზე“. პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და ასევე, ასახავს, მის ადგილსა და როლს დარგის საჭიროებების შესაბამისად. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ გაცხადებულია, რომ იგი ,,ხელს უწყობს საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში განლაგებული სხვადასხვა საზღვაო დაწესებულების განვითარებას. ბათუმის, ფოთის და ყულევის ნავსადგურებთან და სუფსის ტერმინალთან ახლომდებარეობა კარგ პირობებს უქმნის აკადემიის სტუდენტებს მიიღონ სრულფასოვანი სასწავლო პრაქტიკა ხსენებული ნავსადგურების ბაზაზე, ამავე დროს აკადემია უზრუნველყოფს მათ კვალიფიცირებული კადრებით“. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიას, მიზნებსა და ამოცანებს და ამავე დროს, უნივერსიტეტი ატარებს ქმედით ნაბიჯებს, რათა უზრუნველყოს პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა და კარიერული წარმატება დასაქმების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მიიღეს ინფორმაცია უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტების საზღვარგარეთის 4 ქვეყანაში სტაჟირების შესაძლებლობის შესახებ. მათთან ინტერვიუს დროს ასევე დადასტურდა დამსაქმებლებთან თანამშრომლობა. კერძოდ წელიწადში ორჯერ აწყობენ ფორუმებს მათთან ერთად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ვებგვერდი: http://bsma.edu.ge
- სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისია; http://bsma.edu.ge/main/page/2-5/index.html
- წესდება: http://bsma.edu.ge/upload/wesdeba_.pdf ○ განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018- 2024 წწ : http://bsma.edu.ge/upload/Strategic%20plan%207.pdf
- სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2020 წ.წ.): http://www.bsma.edu.ge/sub-10/page/2-24/index.html
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების სტატისტიკური ანალიზი : http://bsma.edu.ge/upload/Employers%20research.pdf
- საგანმანათლებლო პროგრამა - „ ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა: http://bsma.edu.ge/upload/ND%202-Q01-01.pdf ○ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია: http://bsma.edu.ge/upload/ND%202-Q01-02.pdf ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: ○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის - „ნავსადგურისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს სასწავლო კურსების შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რომლებიც რეალისტურია, გაზომვადია და მიღწევადი. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამებისობაშია ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფიკაციის შესაბამისი დონის აღმწერთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან „ინჟინერიის ბაკალავრი“. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა სტუდენტს აძლევს როგორც განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას და აგრეთვე, გამომდინარე იქიდან, რომ ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულს შეუძლია წარმატებულად დასაქმდეს სპეციალობით. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა დასტურდება, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს მათი დაინტერესება და ჩართულობა სუსტად იყო წარმოდგენილი. სწავლის შედეგები გაწერილია პროგრამაში ცხრილისა და მატრიცის სახით, რომლებიც წარმოდგენილია ცოდნა და გაცნობიერებით, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით, დასკვნის უნარით, კომუნიკაციის უნარით, სწავლის უნარითა და ღირებულებებით და ისინი პროგრამის შინაარსის მიხედვით მიიღწევა სასწავლო კურსების სწავლებით, სასწავლო და საწაარმოო პრაქტიკის ორგანიზებით და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით. სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებალი პერიოდულობით პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელთა შესახებ სტუდენტს ინფორმაცია მიეწოდება როგორც პროგრამასა და სილაბუსში არსებული ჩანაწერებით, ასევე ვებგვერდზე განთავსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების მეშვეობით. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტში - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს პროგრამების სამიზნე ნიშნულების შემუშავების საკითხებზე. ამ ეტაპზე სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობის და შეფასების დეპარტამენტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეგულარულად წარმოებს სტუდენტთა სწავლის შედეგების ანალიზი და შეფასება, რაც მათი წარმომადგენლების თქმით გამოიყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მაგალითად, დაზუსტებული იქნა პროგრამის სახელწოდება და შესაბამისად მოდიფიცირებული იქნა სასწავლო კურსების სილაბუსები). გარდა ამისა, სტუდენტთა აკადემიური მიღწევების კონსოლიდირებული სახით შესაფასებლად აკადემიაში მოქმედებს შეფასების შეწონილი ქულის ე.წ. GPA-ის (grade point average) სისტემა, რაც სტუდენტის აკადემიური მოსწრების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტია. ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს დაწესებულების ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით, ინიციატივებით, ღონისძიებების ორგანიზებით, პროექტებით ხელს უწყობენ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს

განავითარონ სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებას, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი დანართები. გარდა ამისა, ელექტრონული ჟურნალი გამოიყენება გამოკითხვების წარმოებისთვის. ამ ეტაპზე დაწესებულების საზრუნავია პროგრამის შემუშავების და მოდიფიცირების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერება და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფა, რაზეც მათ გააჩნიათ კონკრეტული ხედვები და დაწყებული აქვთ ამ მიმართულებით მუშაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ვებგვერდი: http://bsma.edu.ge ○ განვითარების სტრატეგიული გეგმა: http://bsma.edu.ge/upload/Strategic%20plan%207.pdf ○ სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2020 წ.წ.): http://www.bsma.edu.ge/sub-10/page/2-24/index.html ○ საგანმანათლებლო პროგრამა - „ ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ გამოცდების ჩატარებისა და შეფასების პროცედურა: http://bsma.edu.ge/upload/daskvniti_gamocdebis_chatarebis_procedura.pdf ○ აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი: http://bsma.edu.ge/upload/Academic%20Personnel%20poll.pdf ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების სტატისტიკური ანალიზი : http://bsma.edu.ge/upload/Employers%20research.pdf ○ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი: http://bsma.edu.ge/upload/Alumni%20poll.pdf ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი : http://bsma.edu.ge/upload/Students%20poll.pdf ○ სტუდენტთა სწავლების შედეგების ანალიზი: http://bsma.edu.ge/upload/2015-2018%20Statistics-%20Business.pdf ○ სტუდენტთა შეფასების სისტემა: http://students.bsma.edu.ge/index.php ○ სტუდენტთა ზოგადი გამოკითხვის შედეგების ანალიზი: http://bsma.edu.ge/upload/Students.pdf ○ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი: http://bsma.edu.ge/upload/2015-2018%20Statistics-%20Business.pdf ○ საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ : ოქმი N 1, 16.03.2018 წ. ○ საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი კურიკულუმის კომიტეტის შექმნის შესახებ : ოქმი N 2, 30.01.2018 წ. ○ საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ : ოქმი N 3, 16.03.2018 წ. ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია პროგრამის შემუშავების და მოდიფიცირების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	+			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“ დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. კერძოდ, პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე (ატესტატის საფუძველზე), საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით კონკურსის საფუძველზე; დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია სწავლის შედეგების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების გამოკითხვის ანალიზის გათვალისწინებით და იგი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის, საგამოცდო დისციპლინებისა და მათი კოეფიციენტების შესახებ განთავსებულია ცნობარში, რომელსაც საფუძვლად უდევს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის მიერ განსაზღვრული მონაცემები. ცნობარი აბიტურიენტებისთვის და საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“ ○ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ვებ გვერდი: http://bsma.edu.ge/ ○ საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი: http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_94_1.pdf ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“ მოდიფიცირებულია აკადემიის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების“ წესის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებს, სტადიებს და კომპონენტებს.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა, მიზანი და სწავლის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს და ეყრდნობა დარგის თანამედროვე მიღწევებსა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია კომპლექსურად ისეთი სასწავლო კურსებით, რომელთა სწავლის შედეგების დაძლევის შემთხვევაში კურსდამთავრებულის კომპეტენცია შესაბამისობაში იქნება მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. მიუხედვად იმისა, რომ კურიკულუმში სემესტრული სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს თანმიმდევრული გადასვლის პრინციპს მარტივიდან რთულისკენ, საფუძვლებიდან ზოგად ტექნიკურ სასწავლო კურსებზე და შემდეგ მაპროფილებელ სასწავლო კურსებზე შინაარსობრივი თანმიმდევრობის გათვალისწინებით, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში საჭიროა დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები. მაგ. სასწავლო კურსებისთვის ,,კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა“, ,,ელექტროტექნიკა და ელექტრონიკა,“ ,,მექანიზმებისა და მანქანების თეორია“, ,,პნევმო და ჰიდროავტომატიკის საფუძვლები“ და სხვ. აღნიშნულის განხორციელების შემთხვევაში პროგრამის შემადგენელი კომპონენტები ლოგიკური წინაპირობით იქნებიან წარმოდგენილნი და სტუდენტებს ექნებათ ნათელი ინფორმაცია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გზაზე.

პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგები, რომელიც ეყრდნობა და შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 240 ECTS კრედიტი, საიდანაც 180 ECTS კრედიტი განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის სწავლის შედეგების მიღწევისთვის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის, ხოლო 60 ECTS კრედიტის

მოცულობით სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები თავისუფალი/არჩევითი კრედიტებიდან. აკადემიის ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგში მოცემულია ინფორმაცია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“, რომელსაც შეუძლია გაეცნოს ნებისმიერი დაინტერესებული პირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“; ○ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ვებგვერდი: http://bsma.edu.ge; ○ ბსსა-ს სენატის 2017 წლის 08 დეკემბერს № 14/2 გადაწყვეტილება „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესახებ: http://bsma.edu.ge/upload/F-O9.pdf; ○ საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი: http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_94_1.pdf; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას სასწავლო კურსების წინაპირობების ლოგიკური კავშირი, საჭიროა დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები. მაგ. სასწავლო კურსებისთვის ,,კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა“, ,,ელექტროტექნიკა და ელექტრონიკა,“ ,,მექანიზმებისა და მანქანების თეორია“, ,,პნევმო და ჰიდროავტომატიკის საფუძვლები“ და სხვ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტში - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი რეგულაციის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“ შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირისგან მოითხოვს კრედიტების რაოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინოს სასწავლო მასალის შინაარსობრივი სირთულე და თავისებურებები. გარდა ამისა, სილაბუსის ავტორი ვალდებულია კრედიტების გაანგარიშების დროს დაეყრდნოს და იხელმძღვანელოს სტუდენტთა და სასწავლო კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ პირთა მოსაზრებებით. თვითშეფასებაში მითითებულია, რომ ,,კრედიტების გაანგარიშების პროცესს მონიტორინგს უწევს კურიკულუმის კომიტეტი, რომელიც უფლებამოსილია, ამასთან დაკავშირებით გასცეს რეკომენდაციები. შესაბამისად, თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის მის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან თავსებადობის უზრუნველყოფა ხორციელდება სისტემური მექანიზმის მეშვეობით”. მიუხედავად ამისა, საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები ძირითადად წარმოდგენილია 5 და 10 კრედიტის მოცულობით. აკრედიტაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს პროგრამის ხელმძღვანელსა და სასწავლო კურსის სილაბუსების ავტორებს გააცნეს საკუთარი შენიშვნები სასწავლო კურსების კრედიტების ოდენობასთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსების ,,მანქანათა ნაწილები“ და ,,მანქანების და მექანიზმების თეორია“ სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევის მიზნით შესაძლებელია და სასურველია კრედიტების კორექტირება. საერთო ჯამში, სასწავლო კურსების საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას და ასევე, შესაბამისობაშია სასწავლო კურსებში შერჩეული სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) მათ შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. საერთო ჯამში, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. აგრეთვე, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებმა ინტერვიუს დროს განმარტეს, რომ ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის შედეგების შინაარსის, სწავლება/სწავლისა და შეფასების მეთოდების თავსებადობა უზრუნველყოფილია პროგრამის შიდა და გარე შეფასების გზით. შიდა შეფასებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურიკულუმის კომიტეტი, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები და ფაკულტეტის საბჭო, ხოლო გარე შეფასებას ახორციელებენ დაინტერესებული პირები გამოკითხვებისა და ერთობლივი მიზნობრივი შეხვედრების გზით. აღმოსაფხვრელია ზედმეტი ჩანაწერი მათემატიკის, ზოგადი ფიზიკის და ზოგიერთ სხვა სილაბუსებში, სადაც გრაფაში „შესაბამისობა STCW სტანდარტებთან“ მითითებულია,

მითითებულია STCW კონვენციის მუხლები. ვინაიდან აღნიშნული კონვენცია არ არის წარმოდგენილ პროგრამასთან კავშირში, მიზანშეწონილია გადაიხედოს სილაბუსები და გასწორდეს შესაბამისად (სილაბუსები: მათემატიკა MFI 2-BS-08.04-08; ზოგადი ფიზიკა II 2BS-08.04-04 და სხვა). სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება დარგის აქტუალურ მიღწევებს, უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას, შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკაში; ინტერვიუს ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისგან მიღებული ინფორმაციითა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან საუბრისას აღინიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია პერემანენტულად მოიძიოს ახალი ლიტერატურა და დაწესებულების ადმინისტრაციას მიაწოდოს მოთხოვნა ლიტერატურის განახლების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსები უზრუნველყოფილია ძირითადი ლიტერატურით, ექსპერტებს აქვთ რჩევა, რომ სასურველია უმოკლეს ვადაში მოხდეს იმ სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის განახლება და გამდიდრება, რომლებიც წარმოდგენილია მხოლოდ ელექტრონული სახელმძღვანელოების სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ ბსსა-ს სენატის 2017 წლის 08 დეკემბერს № 14/2 გადაწყვეტილება „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესახებ: http://bsma.edu.ge/upload/F-O9.pdf; ○ საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი: http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_94_1.pdf; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: სასწავლო კურსების ,,მანქნათა ნაწილები“ და ,,მანქანების და მექანიზმების თეორია“ გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) საჭიროებს კორექტირებას მათი შინაარსსა და სწავლის შედეგების მიხედვით, რაც გაუმჯობესებს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს. აღმოსაფხვრელია ზედმეტი ჩანაწერი მათემატიკის, ზოგადი ფიზიკის და ზოგიერთ სხვა სილაბუსებში, სადაც გრაფაში „შესაბამისობა STCW სტანდარტებთან“ მითითებულია, მითითებულია STCW კონვენციის მუხლები, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული კონვენცია არ არის წარმოდგენილ პროგრამასთან კავშირში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია უმოკლეს ვადაში მოხდეს იმ სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის განახლება და გამდიდრება, რომლებიც წარმოდგენილია მხოლოდ ელექტრონული სახელმძღვანელოების სახით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○ -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართულნი ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევით პროექტებში. კერძოდ, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიადებში, სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით 2009 წლიდან ტარდება. დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტებს როგორც პრაქტიკული უნარების განვითარებაში და ასევე, კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში სტუდენტების ჩართულობას. სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვა სასწავლებლებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში, წარმოადგინონ საკუთარი ნამუშევრები ორიგინალური პროექტების სახით და მოახდინონ მათი საჯარო დაცვა, თავიანთი ცოდნის და უნარ-ჩვევების დემონსტრირება საზოგადოებისა და დამსაქმებლების წინაშე. აკადემიაში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციები. კონფერენციის დროს გამოვლინდება საუკეთესო შრომები და გამარჯვებული სტუდენტები შემდგომ მონაწილეობენ საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციებში. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტსა და საბაკალავრო ნაშრომის დაცვას. სასწავლო პრაქტიკისთვის დაწესებულებას გააჩნია მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საწარმოო პრაქტიკებს კი სტუდენტები გადიან ნავსადგურებსა და სატრანსპორტო ტერმინალებში. საბაკალავრო ნაშრომის მომზადება უზრუნველყოფს სტუდენტის კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და განვითარებას.

პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმაციით, საბაკალავრო ნაშრომის ფორმით აკადემია ცდილობს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებისთვის საინტერესო, აქტუალური თემატიკის შესწავლაში, ჩართოს სტუდენტი კვლევით პროცესში და მოამზადოს იგი დამოუკიდებელი საქმიანობისთვის. საბაკალავრო ნაშრომის მომზადების, დაცვის და შეფასების სისტემა ქმნის მისი სათანადო აკადემიურ დონეზე შესრულების მყარ წინაპირობას. საბაკალავრო ნაშრომი გადის რეცენზირებისა და საჯარო დაცვის სტადიას, რაც გამორიცხავს ყალბი, ზედაპირული, მეთოდურად გაუმართავი, არააქტუალური კვლევის შესრულების შესაძლებლობას. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიების დროს ექსპერტებისთვის ცნობილი გახდა, რომ ზოგადსაინჟინრო დისციპლინათა დეპარტამენტში ხორციელდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ერთობლივი კველვითი პროექტი „ქარის ტურბო აგრეგატი“, მისი დასრულება დაგეგმილია 2019 წლის 1 მაისს. პროექტის მიმდინარეობის შუალედურ მონიტორინგს აწარმოებს ზოგადსაინჟინრო დისციპლინათა დეპარტამენტი. მონიტორინგი გულისხმობს სამუშაოების შესრულების ვადების შესაბამისობას პროექტის მიმდინარეობის ეტაპებთან. ჩატარებული აქტიობების ხარისხისა და მეთოდოლოგიის შესაბამისობის კონტროლს. პერიოდული შედეგების განხილვისა და ანალიზის შესახებ ანგარიშგება წარმოებს დეპარტამენტის სხდომაზე. ეს თავის მხრივ ხელს უწყობს პროექტში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების აკადემიური თავისუფლების განვითარებას, რასაც მიესალმება აკადემიის ადმინისტრაცია. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გასაუბრება მოხდა აღნიშნული პროექტის წამყვან სტუდენტთან, რომელმაც ისაუბრა პროექტის შესახებ. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რაც საშუალებას იძლევა პროფესიული პრაქტიკის გავლის პროცესში სტუდენტებმა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გარკვეული ნაწილი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებისგან. საწარმოო პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობს, როგორც აკადემიის პასუხისმგებელი აკადემიური პირი, ისე მიმღები ორგანიზაციის კომპეტენტური პასუხისმგებელი პირი. პრაქტიკული საქმიანობის უკეთესად გაცნობის მიზნით პროფესორ-მასწავლებლების მიერ ეწყობა სტუდენტთა ჯგუფური გაყვანა სხვადასხვა ობიექტებზე. ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა ექსკურსიები ნავსადგურებსა და სატრანსპორტო ტერმინალებში, როგორც ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების, ისე ნავსადგურის მართვასთან დაკავშირებული საკითხების უკეთ გაცნობის მიზნით. ყოველივე აღნიშნულს კოორდინაციას უწევს „სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი“. კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში სტუდენტებს ეხმარება აკადემიის ადმინისტრაცია და სტუდენტური თვითმმართველობა. საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის სტუდენტს უფლება აქვს წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი“-ს დებულება; ○ მემორანდუმები და ხელშეკრულებები საერთაშორისო და საქართველოს სასწავლო დაწესებულებებთან;

○ "შავი ზღვის აუზის ქვეყნების განვითარების ევროპული ვექტორი და მისი გავლენაა შავი ზღვის საბორნე გადაზიდვებზე": https://www.facebook.com/pg/Batumi-State-Maritime-Academy-279091223665/photos/?tab=album&album_id=10152986547633666 ○ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია : https://www.facebook.com/pg/Batumi-State-Maritime-Academy-279091223665/photos/?tab=album&album_id=10153041527418666 ○ საზღვაო ინდუსტრიის ინოვაციური გამოწვევები : https://www.facebook.com/pg/Batumi-State-Maritime-Academy-279091223665/photos/?tab=album&album_id=10153319844318666 ○ „პარტნიორობა უკეთესი დასაქმებისათვის“: https://www.facebook.com/pg/Batumi-State-Maritime-Academy-279091223665/photos/?tab=album&album_id=10154288271668666 ○ დამსაქმებელთა და პარტნიორთა ფორუმი 2018 www.facebook.com/pg/Batumi-State-Maritime-Academy-279091223665/photos/?tab=album&album_id=10155519538893666 ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. კერძოდ, მეცადინეობების ლექციური ფორმით ჩატარებისას გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, წიგნზე და ინფორმაციის სხვა წყაროებზე მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი და სხვა. პრაქტიკული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობის დროს წარმოებს კონკრეტული ამოცანებისა და სიტუაციების გადაწყვეტის უნარ-ჩვევების განვითარება, რისთვისაც გამოიყენება სწავლების მეთოდებიდან შემდეგი: დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზის, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ახსნაგანმარტებითი მეთოდი და სხვა; ლაბორატორიული მეცადინეობების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გავლისას გამოიყენება: დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პრაქტიკული, ევრისტიკული, ემპირიული მეთოდები, შემთხვევის ანალიზი და სხვა. აღნიშნული მეთოდები შესაბამისია ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლებისას სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევის ხელშეწყობისთვის. ამავე დროს, აკადემიას გააჩნია ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის განხორციელების ცენტრალიზებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების/საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზებას. ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც სტუდენტთან შეთანხმებით ადგენს მას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტში - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სტუდენტების შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების საფუძველზე შემუშავებული დოკუმენტის „გამოცდების ჩატარებისა და შეფასების პროცედურა“ საფუძველზე დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც სამართლიანია და გამჭვირვალე. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია გამოცდების ჩატარების და შეფასების მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები და შეფასების წესები, რომელიც არეგულირებს საგამოცდო პროცესში ჩართული ადმინისტრაციული, აკადემიური, დამხმარე თანამდებობის პირების და სტუდენტების უფლებებს და ვალდებულებებს. აღნიშნული პროცედურით ხელმძღვანელობს სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობის და შეფასების დეპარტამენტი, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, თვითონ განსაზღვრავს სწავლება/სწავლის და შეფასების მეთოდებს და პასუხისმგებელია მათ ადეკვატურობასა და განვითარებაზე. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებებით. მიმდინარე შეფასებას ახორციელებს სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი, რომელიც შეფასების თითოეულ კომპონენტში მიღწეულ შედეგს აფიქსირებს ელექტრონულ ჟურნალში. შუალედური შეფასება მოიცავს რეიტინგულ შეფასებას (15 ქულა, 15%) და შუალედურ გამოცდას. შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზება ხორციელდება სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობის და შეფასების დეპარტამენტის მიერ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას ახორციელებს ნაშრომის მეცნიერ ხელმძღვანელი და შემფასებელი კომისიის წევრები; ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების ხვედრითი წილი 100 ქულიდან შეადგენს 30 ქულას, ხოლო დარჩენილ შეფასებას ახორციელებს შეფასების კომისია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, საჯარო დაცვა/განხილვისა და შეფასების წესის მიხედვით.

აკადემიაში სტუდენტს აკადემიის ელექტრონული სერვისების გამოყენებით შეუძლია გაეცნოს ცოდნის შეფასების ფორმებს, კრიტერიუმებს, მეთოდებსა და თითოეულ აქტივობაში ქულების დაანგარიშების წესს, რომელიც დეტალურად არის გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსში. ასევე, ნებისმიერ დროს გაეცნოს მიღებული შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროს და მიიღოს კონსულტაცია. დაწესებულებაში პერმანენტულად ხორციელდება შეფასების შედეგების ანალიზი, რომლის შედეგებიც გამოიყენება სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებმა ისაუბრეს შეფასების სისტემის შემდგომ განვითარებაზე და აკადემიური პერსონალისთვის ჩატარებული მეთოდური უნარების განმავითარებელ ღონისძიებებზე და სამომავლო გეგმებზე. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად განიხილება დეპარტამენტების და ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება არსებული შეფასების სისტემის კორექტირება/განვითარება. მიღებული შედეგები განიხილება და მიეწოდება პერსონალს, რომელიც ახორციელებს სტუდენტის შეფასებას. შეფასების სისტემის შესახებ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტში - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი რეგულაციები განთავსებულია ვებგვერდზე, სტუდენტს ცალკეულ სასწავლო კურსებში შეფასების თავისებურებების შესახებ ინფორმაციას აწვდიან საგნის წამყვანი პროფესორები, ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ ინფორმირებულობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შინაგანაწესი http://bsma.edu.ge/upload/2-O02%202015.pdf ○ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ გამოცდების ჩატარებისა და შეფასების პროცედურა : http://bsma.edu.ge/upload/daskvniti_gamocdebis_chatarebis_procedura.pdf ○ სასწავლო პროცესის პროცედურა. საბაკალავრო სწავლების სწავლების საფეხური: http://bsma.edu.ge/upload/swavlebis_safexuri_bakalavriati_18.pdf ○ სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობის და შეფასების დეპარტამენტის დებულება; ○ სტუდენტთა შეფასების სისტემა: http://bsma.edu.ge/index.php?rf=text&tid=110&lang=ge#.Vq8qFk8WA30
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		+		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტში - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობის და შეფასების დეპარტამენტი პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს აწვდის ინფორმაციას ინფორმაცია აკადემიაში მოქმედი ქცევის, კონსულტაციის, მომსახურების, სერვისების, სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და სხვა მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ. ინფორმაცია მოცემულია ბუკლეტში „საინფორმაციო გზამკვლევი“. ამგვარად, ნებისმიერი სტუდენტი ინფორმირებულია თუ რა სერვისებს სთავაზობს მას უნივერსიტეტი. აკადემიაში მოქმედებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის

ელექტრონული სისტემა, რომელიც აერთიანებს ელექტრონულ ჟურნალს, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ელექტრონულ პროგრამას და ბიბლიოთეკის მკითხველთა ანკეტების ელექტრონულ ბაზას, რომლის გამოყენებითაც სტუდენტი ღებულობს ინფორმაციას საკუთარი სწავლის დაგეგმვისთვის, სასწავლო კურსების, პროფესორ/მასწავლებლების, სემესტრების, წინაპირობების, საგამოცდო განრიგის, სწავლის შედეგების, ბიბლიოთეკის გამოყენების, საქმის წარმოების, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. ელექტრონული სისტემის გამოყენებით სტუდენტს შეუძლია ნახოს შეფასებული ნაშრომი და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროს ელექტრონული ფორმით.

პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით აკადემიაში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ კონსულტაციები. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი რეალურად სარგებლობენ კონსულტაციებით.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში. დაწესებულებას აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები როგორც საგანმანათლებლო, ისე დამსაქმებელ დაწესებულებებთან. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პერსონალი ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, რაც გულისხმობს თანამშრომლობას აკადემიური თანამდებობის პირების და სტუდენტების გაცვლას და მობილობას. აღნიშნული დასტურდება ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციებით და აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგებითაც. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით კომუნიკაციაზე, კავშირების მოძიებაზე, დამყარებაზე და ინფორმაციის აკადემიაში გაზიარებაზე პასუხისმგებელია პროექტების მართვის და საგანმანათლებლო ინტერნაციონალიზაციის მენეჯერი. აკადემიაში არსებული პროექტების და მობილობის შესაძლებლობების შესახებ სტუდენტების და პერსონალის ინფორმირება ხორციელდება . აკადემიის ვებგვერდის, სოციალური ქსელების, აკადემიაში განთავსებული საინფორმაციო დაფების, სტუდენტური მხარდაჭერის სამსახურის და დეკანატის საშუალებით. პროექტების მართვის და საგანმანათლებლო ინტერნაციონალიზაციის მენეჯერი საერთაშორისო პროექტებში ჩართვის მსურველებსა და მონაწილეებს ეხმარება ინფორმაციის მოძიებაში, უწევს კონსულტაციებსა და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. აკადემიაში მოწყობილი ღია კარის დღის „საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია - ევროპული გამოცდილება და საქართველო“ და დისკუსიის „საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია“ განთავსებულია ვებგვერდზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაწესებულებას აქვს რესურსი გააძლიეროს ინტერნაციონალიზაცია, რომელიც საჭიროა განახორციელოს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებისა და განმახორციელებელი პირების მიმართებაში. აკადემიურის პერსონალი სტუდენტებს ხელს უწყობს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის, ხოლო აკადემიის ადმინისტრაცია და სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი ყოველწლიურად აწყობს დასაქმების ფორუმს, იწვევს დამსაქმებლებს სტუდენტთა პრეზენტაციებზე, რაც ემსახურება მათ პერსპექტიულ დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

კვალიფიციური კადრების მომზადება/გადამზადების გზით აკადემია ჩართულია და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საქართველოს შავიზღვისპირა ზოლის ინდუსტრიულ განვითარებაში. ბათუმის, ფოთის, ყულევის და პერსპექტივაში ანაკლიის ნავსადგურებთან, ასევე სუფსის ტერმინალთან ახლომდებარეობა კარგ პირობებს უქმნის აკადემიის სტუდენტებს მიიღონ სრულფასოვანი სასწავლო პრაქტიკა, შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.

აკადემიაში მოქმედებს სტუდენტთა თვითმმართველობა, რომელიც იღებს ინიციატივებს სტუდენტები ჩართოს მრავალფეროვან ღონისძიებებში. სტუდენტური აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტუდენტის საინფორმაციო გზამკვლევი: ○ http://bsma.edu.ge/upload/AKADEMIA%20BROSHURA.pdf ○ სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების პროცედურა : ○ http://bsma.edu.ge/upload/Student%20Projects.pdf ○ სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის დებულება; ○ სასწავლო პროცესის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის წარმოების წესი: http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_94_1.pdf ○ სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობის და შეფასების დეპარტამენტის დებულება; ○ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა: http://bsma.edu.ge/text_files/ge_file_94_1.pdf; ○ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია: http://bsma.edu.ge/upload/ND%202-Q01-02.pdf; ○ სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების პროცედურა: http://bsma.edu.ge/upload/Student%20Projects.pdf; ○ დამსაქმებელთა და პარტნიორთა ფორუმი 2018: http://bsma.edu.ge/main/page/1194/index.html ○ „პარტნიორობა უკეთესი დასაქმებისათვის“ – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში დამსაქმებელთა ფორუმი http://bsma.edu.ge/main/page/996/index.html ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	+			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან საქართველოს კანონმდებლობისა და სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. აკადემიაში მოქმედებს „აკადემიური პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია და წესი“, რომლის მიხედვით დადგენილია მინიმალური მოთხოვნები პროგრამის ადამიანური რესურსებით რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრისთვის, რაც ემსახურება პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფას. აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება ღია კონკურსის ჩატარების

წესის მიხედვით, რომლითაც განსაზღვრულია აკადემიური თანამდებობის დაკავების წინაპირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კრიტერიუმები და კონკურსის ჩატარების პროცედურები და მოქმედებს მოწვეული მასწავლებლების პრაქტიკაც. ამ უკანასკნელთა შერჩევისთვის მოქმედებს ცალკე წესი, რომლითაც განისაზღვრება მათ მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ფლობის დადასტურების პირობები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქციები, დატვირთვები და უფლებამოვალეობები რეგულირდება „აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი“-თ. აკადემიური და მოწვეული პერსონალი თავიანთ საქმიანობას ახორციელებს ყოველწლიური ინდივიდუალური დატვირთვების შესაბამისად, რომელიც მოიცავს როგორც მათ სააუდიტორიო, ასევე სხვა სახის აქტივობებსაც.

თითოეული აკადემიური პოზიციისთვის შემუშავებულია და მოქმედებს სამსახურებრივი ინსტრუქციები, რითაც განისაზღვრება მათი პერსონალური უფლება-მოვალეობები.

აკადემიის მიერ შემუშავებული დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები არის ნათლად ჩამოყალიბებული და ხელმისაწვდომი.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, რასაც ადასტურებს მათი ბოლო 5 წლის შრომების სიები.

დაწესებულების შემუშავებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“ ადგენს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესორი, ან ასოცირებული პროფესორი, რომლის კანდიდატურასაც წარადგენს დარგობრივი დეპარტამენტი კურიკულუმის კომიტეტთან შეთანხმებით, რომელსაც იწონებს ფაკულტეტის საბჭო და პროგრამასთან ერთად ამტკიცებს სენატი. შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შესაბამისობაშია. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტაციის ორგანიზებასა და პროცესში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში, რაც დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს ფარგლებში.

პროგრამა ხორციელდება საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე, რომელიც დაკომპლექტებულია საკმარისი რაოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით - 28 პირით, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში, სტუდენტებთან კომუნიკაციაში. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასება ხორციელდება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით. პროგრამის გამნახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 31 პირს. მათგან 24 აკადემიური პერსონალია (5 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი და 2 ასისტენტი, ყოველი მათგანი დაწესებულებასთან აფილირებული პირი), ხოლო 6 მოწვეულია. ამჟამად საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 25 სტუდენტი. პროგრამის განმახორციელებელი პირების რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში, მათ შორის ბალანსისა და დენადობის მაჩვენებლების მიხედვით, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ შეექმნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ აკადემიური პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია და წესი: http://bsma.edu.ge/upload/Academic%20staff%20quantity%20procedure.pdf ○ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა: http://bsma.edu.ge/upload/personalis_martvis_politika.pdf ○ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი: http://bsma.edu.ge/upload/konkursis_chatarebis_wesi.pdf ○ მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის წესი : ○ http://bsma.edu.ge/upload/mocveul_mascavlebelta_SherCevis_cesi.pdf ○ აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი: ○ http://bsma.edu.ge/upload/datvirtvisa_da_anazgaurebis_wesi.pdf ○ პროფესორ მასწავლებელთა რეესტრი: https://uni.eqe.ge/ ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციის „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის“ თანახმად ექვემდებარება შეფასებას, რომელიც ხორციელდება თვითშეფასების ანგარიშის, აუდიტორიული მუშაობის მონიტორინგისა და სტუდენტთა გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე. მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვებით. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ შეფასების შედეგები განიხილება უშუალოდ შეფასებული პირის მონაწილეობით აკადემიური დეპარტამენტის სხდომებზე და თუ, აკადემიური პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს, შემფასებელი კომისიის მიერ ჩაითვლება უარყოფითად. ხოლო, თუ ყოველწლიური შეფასების შედეგები დადებითი იქნება, ეს შესაძლებელია გახდეს აკადემიური პერსონალისთვის ფინანსური წახალისების, მადლობის გამოცხადების, სიგელზე წარდგენის საფუძველი.

აკადემია მუდმივად ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. მხარდაჭერა გამოიხატება სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის, ტრენინგების, სამუშაო მივლინებების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაფინანსებაში. ფაკულტეტზე ყოველწლიურად ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სადაც აკადემიურ პერსონალს საშუალება ეძლევა წარმოადგინოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები. აღსანიშნავია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის თანამშრომლობა ლატვიის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან, რომელიც ახორციელებს ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარა პროგრამის შედარებითი ანალიზი, ორივე მხარის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები გაუზიარეს. განიხილეს სწავლების ხარისხის ამაღლების მექანიზმები და სამომავლო პერსპექტივები. პროფესიული განვითარების მიზნით მათ გავლილი აქვთ ტრენინგები შემდეგი მიმართულებით:

Latvian Maritime Academy, Certificate of attendance of staff training programme:

1. Port management educational programme development;
2. Electrical engineering laboratory training;
3. Pneumatic laboratory training;
4. Bridge resource management training for students; 5. Communication and GMDSS training for students.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ადმინისტრაცია დროულად აწოდებს ინფორმაციას საქართველოში თუ უცხოეთში დაგეგმილ კონფერენციების, სტაჟირებისა თუ ტრენინგების შესახებ აკადემიის ვებგვერდისა და სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“: http://bsma.edu.ge/upload/akademiuri_saqmianobis_efeqturobis_shefasebis_wesi_2018.pdf

○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV; ○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი წარიმართება სათანადოდ აღჭურვილ აუდიტორიებში, ლაბორატორიებში და კომპიუტერულ კლასებში. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესისათვის გამოსადეგი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები, პროექტორები და სადემონსტრაციო მონიტორები. მათ აქვთ თავისუფალი წვდომა ინტერნეტზე. პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება ფიზიკის, ქიმიის, ტექნიკური მექანიკის, პნევმოავტომატიკისა და ჰიდროავტომატკის ლაბორატორიები; საინჟინრო გრაფიკის კაბინეტი; საზეინკლო, სახარატო, აირშედუღების და ელექტროსამონტაჟო საამქროები; ამწეკრანის, რეალური შედუღებისა და ვირტუალური შედუღების სიმულატორი მატერიალური

რესურსებთან წვდომა სწავლის პროცესში სტუდენტს აქვს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის ობიექტებზეც. პრაქტიკის ადგილზე რეალური სამუშაო რესურსებზე/გარემოზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმებით სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, დანადგარების მახასიათებლები, ტექნიკური პარამეტრები უზრუნველყოფს უსაფრთხოების მოთხოვნებს, საგანმანათლებლო მიზნებს და აუცილებელ სამუშაო პირობებს (ბუნებრივი და ხელოვნური განათება (ელექტროენერგიის მიწოდების ალტერნატული წყარო - დიზელგენერატორი), გათბობა და სხვ.). სასწავლო სივრცეები ადაპტირებულია სასწავლო მიზნებისთვის, აუდიტორიები, საამქროები, ლაბორატორიები, კაბინეტები, სამანქანე დარბაზი, სიმულატორები და სხვ. აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ავეჯით, ტექნიკით, დანადგარებით და ინსტრუმენტებით. დამხამრე ფართი უზრუნველყოფს სტუდენტთა კურიკულუმის გარეშე აქტივობების განხორციელებას. აკადემიის შინაგანაწესის, კომპეტენტური პირების, კურატორების, ოფიცერკოორდინატორების და ვებგვერდის საშუალებით სტუდენტები ინფორმირებულნი არიან მატერიალური რესურსის, საბიბლიოთეკო ფონდის და ელექტრონული რესურსების გამოყენების შესაძლებლობასა და წესების თაობაზე. აკადემიაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკით, ელექტრონული პროგრამებით, ინვენტარით. ბიბლიოთეკას გააჩნია სამკითხველო დარბაზი, ინტეგრირებული ელექტრონული მატარებლების გაცნობის კომპიუტერული სივრცე, წიგნთსაცავი, რომელიც განთავსებულია საბიბლიოთეკო კორპუსში, წიგნთსაცავი II, რომელიც განთავსებულია ძირითადი სასწავლო კორპუსის მესამე სართულზე, ჯგუფური მუშაობის სივრცე, რომელიც განთავსებულია საბიბლიოთეკო კორპუსის პირველ სართულზე და ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირთა მომსახურეობისთვის, პერსონალის სამუშაო სივრცე, განთავსებული საბიბლიოთეკო კორპუსის მეორე სართულზე. ბიბლიოთეკაში სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია ყველა იმ ძირითადი ლიტერატურის ბეჭდური ან/და ელექტრონული ვერსია, რომელიც მითითებულია სილაბუსებში. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია ელექტრონულ ფორმატში და ცალკეულ შემთხვევებში საჭიროებს შინაარსობრივ განვრცობას და მოცულობის გაზრდას. საერთო ჯამში საბიბლიოთეკო რესურსი საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. ინტერვიუს დროს პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ საშუალება მოთხოვნის საფუძველზე ყოველწლიურად მოახდინონ დარგის უახლესი მიღწევების ამსახველი საგანმანათლებლო და ნაწილობრივ კვლევითი ხასიათის ლიტერატურით შევსება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკა: http://library.bsma.edu.ge/ ○ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი: http://bsma.edu.ge/upload/bibliotekit_sargeblobis_wesi.pdf ○ ბიბლიოთეკის ინვენტარის დამადასტურებელი დოკუმენტი; ○ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების დამადასტურებელი დოკუმენტები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ცალკეულ სილაბუსებში, რომელთა უზრუნველყოფა მხოლოდ ელექტრონული კონსპექტებითაა წარმოდგენილი, ძირითადი ლიტერატურა შინაარსობრივად განევრცოს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიუჯეტი შედგენილია ნაერთი ფორმით კანონმდებლობით განსაზღვრული საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით, სადაც ყველა მუხლში გათვალისწინებულია ფაკულტეტების მოთხოვნები მათი აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობების პროპორციულად, რაც ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ უზურუნველყოფას და მდგრადობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სამწლიანი სამოქმედო გეგმა: http://bsma.edu.ge/sub-10/page/2-24/index.html
რეკომენდაციები:
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	+			

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტში - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ მოქმედებაზე და სისტემის განვითარებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ამასთან, დაწესებულება როგორც საზღვაო განათლების განმახორციელებელი დაწესებულება, ექვემდებარება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ეგიდით მიღებული კონვენციების მოთხოვნების გათვალისწინებით საქმიანობის ხარისხის მართვის სერტიფიცირებას, რომლის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით აკადემიაში 2001 წლიდან დანერგილია ISO 9001 სტანდარტი. სპეციფიკის გათვალისწინებით ISO 9001 სტანდარტის იმპლემენტაციაზე, სისტემის განახლებაზე და მისი ქმედითობის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელია ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის და ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურები კოორდინირებულ მუშაობას ეწევიან ხარისხის მართვის სისტემის „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ (PCDA) ციკლის გათვალისწინებით.

ინტერვიუს დროს აკადემიისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ისინი აკადემიურ პერსონალთან ერთად შეიმუშავებენ აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებისთვის აუცილებელ ინსტრუმენტებს, ინდიკატორებს, კრიტერიუმებს და ფორმებს, რაც ასახულია „მომსახურების მონიტორინგის პროცესის პროცედურა“-ში.

პროცესების კოორდინირებულად მართვის მიზნით ყველა სტრუქტურულ ერთეულში გამოყოფილია ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, რაც გაწერილია მათ სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებში.

დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები აწარმოებენ მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით გამოკითხვების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით კმაყოფილების, მართვის პროცესების ხარისხის, ინფრასტრუქტურის გამართულობისადა სხვა საკითხების შესახებ. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა. მათივე ინფორმაციით ამჟამად მიმდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენის მეთოდოლოგიური საფუძვლის შემუშავება.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტზე შექმნილია კურიკულუმის კომიტეტი, რომელიც წარმოადგენს სათათბირო კოლეგიალურ ორგანოს და მასში შედიან ადმინისტრაციული, აკადემიური და დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები. ისინი აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განახლება-განვითარების, შეფასების, შეწყვეტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებისა და მისი ამაღლების ღონისძიებებს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირები ამოწმებენ და აფასებენ ელექტრონულ ბაზაში ატვირთული სასწავლო კურსების სილაბუსებს და მათთან შეთანხმებით ხორციელდება სასწავლო კომპონენტების სილაბუსების განახლება/რედაქტირება.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და აკრედიტაციისთვის მზადების პროცესს ზედამხედველობას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც იძლევა სავალდებულო შესასრულებელ მითითებებს, კონსულტაციებს. თვითშეფასებაში

გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში იძლევა რეკომენდაციებს და გონივრულ ვადას მათ აღმოსაფხვრელად .

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი: http://bsma.edu.ge/upload/Academic%20Personnel%20poll.pdf ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი : http://bsma.edu.ge/upload/Students%20poll.pdf ○ სტუდენტთა სწავლების შედეგების ანალიზი: http://bsma.edu.ge/upload/2015-2018%20Statistics-%20Business.pdf ○ მომსახურების მონიტორინგის პროცესის პროცედურა: http://bsma.edu.ge/upload/momsaxurebis_monitoringis_procesis_procedura.pdf ○ რისკების მართვის პროცედურა : http://bsma.edu.ge/upload/risk%20management%20O.pdf ○ შეუსაბამობების მართვის პროცედურა: http://bsma.edu.ge/upload/NC%20Procedure_BLG.pdf ○ პოლიტიკა ხარისხის სფეროში: http://bsma.edu.ge/upload/Quality%20Policy%202018%20Geo.PDF ○ მიზნები ხარისხის სფეროში: http://bsma.edu.ge/upload/Quality%20Objectives%202018%20Geo.PDF
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტში - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი წესის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებისა და განვითარების ეტაპებზე იყენებს გარე შეფასებას. გარე შეფასებას ახორციელებენ დარგის სპეციალისტები პარტნიორი ან სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები შესაბამისი გამოკითხვების და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში ყოველწლიური თვითშეფასების წარდგენის გზით. აკადემიაში დანერგილი ყველა პროგრამა შემუშავებულია და ხორციელდება გარე შეფასების შედეგების გათვალისწინებით. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“-თ გათვალისწინებული რეგულაციები, რომლის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტებულ პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციები, შენიშვნები, მითითებები გაითვალისწინოს და განსახილველად გადასცეს ფაკულტეტის და აკადემიის მართვის ორგანოებს და უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტებულია 2014 წელს. წინა აკრედიტაციის დროს ექსპერტებს ჰქონდათ შენიშვნები მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო კურსების შინაარსების ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისი საკითხებით შევსების, სასწავლო კურსების სილაბუსებში სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმების უფრო მკაფიოდ და ნათლად გაწერის, მოძველებული სასწავლო ლიტერატურის განახლების და სწავლის შედეგების რუკის სრულყოფის, რაც მიმდინარე აკრედიტაციის დროს გამოსწორებულია. ამჟამად რეაკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილმა პროგრამამ ინტერვიუს ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლების ინფორმაციითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დაწესებულებაში მოქმედი წესის თანახმად გაიარა გარე შეფასების ყველა ეტაპი, მათ შორის, პარტნიორი სასწავლებლების შესაბამის დარგში მოღვაწე აკადემიური პერსონალის მიერაც იქნა შეფასებული. დაწესებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარე შეფასებებს, რადგან მათი თქმით ისინი ადასტურებენ პროგრამის მიზნების და შედეგების თავსებადობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საჭიროებებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესახებ: http://bsma.edu.ge/upload/F-O9.pdf ○ საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისა და საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აწარმოებენ უწყვეტ სისტემურ მონიტორინგს მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით გამოკითხვებისა და პროცესზე დაკვირვების მეშვეობით. გამოკითხვით ფასდება საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლის შედეგებით კმაყოფილება, მართვის პროცესები, ინფრასტრუქტურა, მათი განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალი, მატერიალური ბაზა და სხვ. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა. საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამები ასევე ექვემდებარება რეგულარულ მონიტორინგს და შეფასებას, რომელსაც დაწესებულებაში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“-ს მოთხოვნათა მიხედვით ახორციელებენ პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურიკულუმის კომიტეტი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი. პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტთა ყოველსემესტრულ გამოკითხვებს.
აკადემიაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი პერმანენტულად მიმდინარეობს. მათ პრაქტიკაში ხდება მეცადინეობაზე განმავითარებელი კოლეგიალური ურთიერთდასწრებაც შეფასების მიზნით, რაც აისახება შეფასების ფორმაში. მონიტორინგის გზით მიღებულ მონაცემების სასწავლო დეპარტამენტში, კურიკულუმის კომიტეტში, ფაკულტეტის საბჭოზე განხილვისა და ანალიზის შედეგების მიღების შემდეგ იყენებენ პროგრამის მოდიფიცირებისთვის. ○

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი: http://bsma.edu.ge/upload/Academic%20Personnel%20poll.pdf ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების სტატისტიკური ანალიზი : http://bsma.edu.ge/upload/Employers%20research.pdf ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი : http://bsma.edu.ge/upload/Students%20poll.pdf ○ სტუდენტთა სწავლების შედეგების ანალიზი: http://bsma.edu.ge/upload/20152018%20Statistics%20MF.pdf
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	+			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“ დასკვნის გვერდების რაოდენობა:
40 პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	+			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		+		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	+			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	+			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	+			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მანანა მოისწრაფიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისწევრ(ებ)ის

გიორგი ჯაფარიძე

ქრისტინა რზგოევა

გიორგი ფოფხაძე